ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 23-ს

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 14 აპრილი 2016 წელი

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა"(შემდგომში "შემსყიდველი")

იურ. მისამართი გარდაბნის მუნიციპალიტეტი. სოფ. სართიჭალა

და მეორეს მხრივ *შპს „საქართველოს მელოირაცია"*(შემდგომში "მიმწოდებელი")

მდებარე ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. #6

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (მეურნეობის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში) სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობის საჭიროებისათვის არასასმელი წყლის შესყიდვა (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება :41100000 - ბუნებრივი წყალი, დეტალური კოდი 41120000 - არასასმელი წყალი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შემსყიდველის საჭიროებისათვის 4100 $მ^3$ საჭირო არასასმელი წყლის საერთო ღირებულება შეადგენს 410 (ოთხასათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. 1000 $მ^3$ არასასმელი წყლის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს. სულ 4100 $მ^3$ არასასმელი წყლის ღირებულება შეადგენს (ოთხასათი) ლარს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მესამე მუხლით გათვალისწინებული არასასმელი წყალი ხელშეკრულების გაფორმებიდან –2016 წლის 30 სექტემბრის პერიოდში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიწოდებული არასასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს არასასმელი წყლის მიწოდება ზემო სამგორის სერვის ცენტრის ზემო მაგისტრალური არხის მეშვეობით.

5.3.შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4. ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული არხიდან არასასმელი წყლის ტრანსპორტირებას დანიშნულების ადგილამდე განახორციელებს შემსყიდველი საკუთარი წყლის გადამზიდი ავტოცისტერნის საშუალებით.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი
არასასმელი წყლის მიწოდების შემდეგ გაფორმდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტი.

7. ინსპექტირების პირობები
7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობის სატყეო მეურნეობისა და ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტი როსტომ მათურელი.
(შემდგომში `კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი~).
7.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
7.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
7.2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
7.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

8. გარანტია
მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებული იქნება დროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება
9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ.
9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები
10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398_ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა
მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ორი პირი ინახება შემსყიდველთან-ერთი მომწოდებელთან.

„შემსყიდველი“
სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა
გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ. სართიჭალა

სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი TRESGE22
GE24NB0330100200165022
ს/კ № 226575024

რევაზ ბეჟაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“
ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. #6
სს `საქართველოს ბანკი~
ბ.კ BAGAGE22 ა/ა #
ა.ა GE58BG0000000182323100
ს.კ 204524568

ლევან დვალი
გენერალური დირექტორი